6 ახალი თარგმანები

ალფრედ დე მიუსე

მარიანას ახირებები

პიესა ორ მოქმედებად

მოქმედი პირები

კ ლ ა უ დ ი ო, მოსამართლე.
ჩ ე ლ ი ო.
ო ტ ა ვ ი ო.
ტ ი ბ ი ა, კლაუდიოს მსახური.
პ ი პ ო, ჩელიოს მსახური.
მ ა ლ ვ ი ლ ი ო, ჰერმიას მაჟორდომი.
მ ს ა ხ უ რ ი ტრაქტირში.
მ ა რ ი ა ნ ა, კლაუდიოს ცოლი.
ჰ ე რ მ ი ა, ჩელიოს დედა.
ს ი უ ტ ა, დედაბერი.
მ ს ა ხ უ რ ე ბ ი.

მოქმედება ხდება ნეაპოლში.

მოქმედება პირველი

სცენა პირველი

ქუჩა კლაუდიოს სახლის წინ

მ ა რ ი ა ნ ა გამოდის თავისი სახლიდან ლოცვების წიგნით ხელში, მას ს ი უ ტ ა უახლოვდება.

ს ი უ ტ ა – ლამაზო ქალო, შეიძლება კი მოგმართოთ?

მ ა რ ი ა ნ ა – ჩემთან რა საქმე გაქვთ?

ს ი უ ტ ა – ამ ქალაქში ერთი ყმაწვილია თქვენზე შეყვარებული. უკვე თვეზე მეტია ცდილობს, გითხრათ, მაგრამ უშედეგოდ. ჩელიო ჰქვია; იგი დიდგვაროვანია და მშვენიერი.

მ ა რ ი ა ნ ა – მორჩით. გადაეცით მას, ვინც მოგაგზავნათ, რომ ტყუილად ცდილობს და დროსაც ამაოდ კარგავს, და ისიც უთხარით, რომ, თუკი ასეთი საუბრებით ვინმე შეეცდება კიდევ მომმართოს მისი სახელით, ყველაფერა მეუღლეს მოვუყვები. *(გადის.)*

ჩ ე ლ ი ო *(შემოდის)* – აბა, სიუტა, რა გითხრა?

ს ი უ ტ ა – ღვთისმოშიში და ქედმაღალია. ასეთი არასდროს ყოფილა. თქვა, რომ ქმარს ეტყვის ყველაფერს, თავს თუ არ დაანებებენ.

ჩ ე ლ ი ო. ო, როგორი უბედური ვარ! მხოლოდ სიკვდილი დამრჩენია. იგი ყველაზე სასტიკია ქალთა შორის! შენ რას მირჩევ, სიუტა...? რა ხერხს მივმართო...?

ს ი უ ტ ა. უპირველეს ყოვლისა, აქედან წასვლას. მისი ქმარი აქეთ მოემართება.

გადიან. შემოდიან კ ლ ა უ დ ი ო და ტ ი ბ ი ა.

კ ლ ა უ დ ი ო. შენ ხომ ჩემი თავდადებული მსახური, ერთგული ლაქია ხარ? იცოდე, რომ შეურაცხყოფისთვის შური უნდა ვიძიო.

ტ ი ბ ი ა. თქვენ, უფროსო?

კ ლ ა უ დ ი ო. დიახ, მე; ამ საშინელი გიტარებით შეუჩერებლად ხმაურობენ ჩემი ცოლის ფანჯრებთან. მაგრამ ჯერ ვითმენ! საქმე არ დასრულებულა. ცური დამიგდე, მოინიე ჩემკენ; იქ – ხალხია, შეიძლება კონნემ გაიგოს ჩვენი საუბარი. დღეს სალამოს მოიყვანე ის კაცი, რომლის შესახებაც გესაუბრებოდი.

ტ ი ბ ი ა. რისთვის?

კ ლ ა უ დ ი ო. მგონია. რომ მარიანა საყვარლები ჰყავს.

ტ ი ბ ი ა. ასე ფიქრობთ, უფროსო?

კ ლ ა უ დ ი ო. დიახ, ჩემი სახლის ირგვლივ სიყვარულის სურნელი ტრიალებს; აქ ხომ ტყუილუბრალოდ არავინ დადის. გიტარითა და მაჭანკლებით იესება აქაურობა.

ტ ი ბ ი ა. თქვენი ცოლის საპატივცემულოდ სერენადების ძღერას ხომ არ აუკრძალავთ?

ფლება – ეს არის ჩემი აზრით წყობის პრინციპი, ახლა მეფესთანაც კი ისე ვისაუბრებდი, როგორც შენს ლამაზმანთან.

ჩ ე ლ ი ო. არ ვიცი, რა დამემართა. არა, არ გაესაუბრო!

ო ტ ა ვ ი ო. რატომ?

ჩ ე ლ ი ო. არ ვიცი, რატომ. მგონია, რომ მომატყუებ.

ო ტ ა ვ ი ო. რეჟს ღირსებას ვუფიცავ, რომ, თუ მე შემიძლია ამაზე გავლენა ვიქონიო, მარიანა ან შენი იქნება, ან არავისი.

ჩელიო გადის. შემოდის მ ა რ ი ა ნ ა. ოტავიო მას უახლოვდება.

ზურგი არ მაქციოთ, ო, სილამაზის ქალღმერთო; მზერით შეეხეთ თქვენს უღირს მსახურს!

მ ა რ ი ა ნ ა. ვინ ბრძანდებით?

ო ტ ა ვ ი ო. მე ოტავიო მქვია; თქვენი მეუღლის ბიძაშვილი ვარ.

მ ა რ ი ა ნ ა. მას ეწვიეთ? სახლში შებრძანდით. მალე დაბრუნდება.

ო ტ ა ვ ი ო. მასთან არ მოვსულვარ და სახლში ვერ შევალ იმის შიშით, რომ, როდესაც გაიგებთ ჩემი აქ მოსვლის მიზეზს, უკან გამომაგდებთ.

მ ა რ ი ა ნ ა. შეგიძლიათ არ მითხრათ ან მიზეზის შესახებ და მეც აღარ დამაყოვნებთ.

ო ტ ა ე ი ო. არ შემიძლია, რომ არ ვთქვა და გთხოვთ, შეჩერდით და მომისმინეთ. სასტიკი მარიანა! თქვენი თვალებია სნეულების მიზეზი, თქვენი სიტყვები ვერ განკურნავენ მას. რა დაგიშავათ ჩელიომ?

მ ა რ ი ა ნ ა. ვის გულისხმობთ? რა სხეულება?

ო ტ ა ვ ი ო. ყველაზე სასტიკი სნეულება, ვინაიდან მისი განკურნების იმედიც კი არ არსებობს; ყველაზე საზარელი სნეულება, ვინაიდან იგი საკუთარ თავს აღაფრთოვანებს და ხელს ჰკრავს ეულობრის მკურნალ ფიალას; სნეულება, რომელიც ბაგეებს ამკრთალებს, როდესაც მას ეხება უფრო ძლიერი შხამი, ვიდრე ამბროზია და რომლის გამოც გაქვავებული გული ცრემლთა ნაკადულად იქცევა და დნება, როგორც კლეოპატრას მარგალიტი; სნეულება, რომლის შემსუბუქებაც არ ძალუძს არცერთ საიცარ კეთილსურნელებას, არცერთ სიბრძნეს; სნეულება, რომლისთვისაც ქარის მსუბუქი დაქროლვა, დამჭკნარ ვარდთა არომატი, რომელიმე მუსიკის მისამღერი – საკვებია; სნეულება, რომელსაც ტანჯავს ყველაფერი, რაც კი ბის ირგვლივაა, იგი ჰგავს ფუტკარს, რომელიც თაფლს ბალის ყველა ყვავილიდან აგროვებს.

მ ა რ ი ა ნ ა. არ მიპასუხებთ, რა ეწოდება ამ სნეულებას?

ო ტ ა ვ ი ო. დაე იმან წარმოთქვას მისი სახელი, ვისაც აქვს ამის უფლება. დაე ღამის ოცნებებმა და ნარინჯის ამ ყვავილებმა, ამ შხეფების გრილმა სიომ გითხრათ მისი სახელი; თუ ოდესმე საღამოს მოისურვებთ ამოცნობას, მას თქვენი ბაგეები იპოვიან; პოვნის გარეშე კი ვერ გაიგებთ მის მნიშვნელობას.

მ ა რ ი ა ნ ა. ნუთუ იმდენად საშიშია მისი დასახელება, იმდენად დიდია დასჯილებისებრ ეაფრთხე, რომ მის დამცველსაც კი ეშინია წარმოთქმა?

ო ტ ა ვ ი ო. ნუთუ, დაო, იმდენად საკადრისოა მოსასმენია, რომ შია დასახელებას მთხოვთ? თქვენ ეს ასწავლეთ ჩელიოს.

მ ა რ ი ა ნ ა. ეს ჩემი ნებით არ მომხდარა. მე არ ვიცნობ ჩელიოს და სნეულების სახელწოდებაც ჩემთვის უცნობია.

ო ტ ა ვ ი ო. ო, ნეტავი გაიცნოთ როგორც ჩელიო, ისევე ამ სნეულების რაობა, – აი რა მინდა მე მთელი სულითა და გულით!

მ ა რ ი ა ნ ა. ნამდვილად?

ო ტ ა ვ ი ო. ჩელიო – ჩემი საუკეთესო ბეგობარია; რომ მდომებოდა თქვენში სურვილი გამეღვიძებინა, გეტყოდით, რომ იგი დღესავით მშვენიერი, ახალგაზრდა და დიდგვაროვანია, ეს მართლაც ასეა; მაგრამ მინდა, რომ სიბრალული აღგიძრათ და გეტყვით, რომ იმ დღის შემდეგ, რაც თქვენ შეგხვედათ, სიკვდილივით ნაღვლიანია.

მ ა რ ი ა ნ ა. განა ჩემი ბრალია, რომ ნაღვლიანია?

ო ტ ა ვ ი ო. მისი ბრალია, რომ მშვენიერი ხართ? მხოლოდ თქვენ შესახებ ფიქრობს; მუდმივად ამ სახლის ირგელიე დაბეტიალობს. ჯერ არ გაგიგიათ სიმღერების ხმა თქვენი ფანჯრების ეკვეშ? ძუაღამით არ გაძოგიღიათ დარაბები, არ აგიწევიათ ფარდები?

მ ა რ ი ა ნ ა. არავის არ ეკრძალება აქ საღამოობით სიმღერა. ეს მოედანი ყველას ეკუთვნის.

ო ტ ა ვ ი ო. და ყველას შეუძლია თქვენი სიყვარული, მაგრამ არავის აქვს უფლება, ამის შესახებ გითხრათ. რამდენი წლის ბრძანდებით, მარიანა?

მ ა რ ი ა ნ ა. ჯარგი კითხვაა! რომ გიპასუხოთ, მხოლოდ ცხრამეტი წლის ვარ-მეთქი, აქედან რა აზრს გამოიტანთ?

ო ტ ა ვ ი ო. ესე იგი ხუთი ან ექვსი წლის განმავლობაში თქვენ ეყვარებით სხვებს, რვა თუ ათი წლის განმავლობაში – თქვენ გეყვარებათ, ხოლო შემდგომ მხოლოდ ღოცვა დაგრჩენიათ.

მ ა რ ი ა ნ ა. აი, თურმე როგორ... მაშ რა გაეწყობა! ტყუილად ნუ დაკარგავთ დროს, მე კლაუდიო მიყვარს, ჩემი ქმარი და თქვენი ბიძაშვილი.

ო ტ ა ვ ი ო. ჩემი ბიძაშვილი და თქვენი ქმარი ერთად აღებული – ყოველთვის მხოლოდ სასაცილო პედანტად დარჩება; თქვენ არ გიყვართ კლაუდიო.

მ ა რ ი ა ნ ა. ასევე ჩელიოც; შეგიძლიათ გადასცეთ ეს.

ო ტ ა ვ ი ო. მაგრამ რატომ?

მ ა რ ი ა ნ ა. რატომ არ უნდა მიყვარდეს კლაუდიო? ის ხომ ჩემი ქმარია.

ო ტ ა ვ ი ო. რატომ არ უნდა გიყვარდეთ ჩელიო? ის ხომ თქვენი თაყვანისმცემელია.

ვ ე რ ი ა ს ხომ ყურ მეტყველით. რად გისმენო? ნახვამდის, სენიორ ოტაველო. ღმერთმა ბალიან გაგაგრძელდა. *(გადის.)*

ო ტ ა ვ ი ო. ეფიცავ, ულამაზესი თვალები აქვს! *(გადის.)*

მეორე სცენა

ჩელიოს სახლში

ჰ ე რ მ ი ა, რამდენიმე მსახური, მ ა ლ ვ ო ლ ი ო.

ჰ ე რ მ ი ა. დააწყეთ ეს ყვავილები ისე, როგორც მე გიბრძანეთ. მუსიკოსები მოინვიეთ?

მ ს ა ხ უ რ ი. დიახ, სენიორა; ისინი ვახშამზე გესტუმრებიან.

ჰ ე რ მ ი ა. როდესაც დარაბები ჩახურულია, აქ ძალიან ბნელა; სჯობს სინათლე შემოიჭრას, მხოლოდ მზე არ შემოუშვათ! მეტი ყვავილებია საჭირო ამ ტახტის ირგვლივ! კარგი ვახშამია? მობრძანდება ჩვენი უმშვენიერესი მეზობელი, გრაფინია პერგოლი? რომელ საათზე ნაციდა ჩემი შვილი?

მ ა ლ ვ ო ლ ი ო. იმისათვის, რომ ნახვიდე, საჭიროა, ჯერ დაბრუნდე. ღამით სახლში არ დაბრუნებულა.

ჰ ე რ მ ი ა. თვითონაც არ უნყით, რას ბრძანებთ. გუშინ ჩემთან ერთად ვახშმობდა და ერთად დავბრუნდით. შვილტანეს მის სამუშაო კაბინეტში დღეს დილით ნაყიდი სახატე?

მ ა ლ ვ ო ლ ი ო. მისი მამა რომ ცოცხალი ყოფილიყო, მსგავსი რამ არ მოხდებოდა. თითქოს ჩვენი ქალბატონი თვრამეტი წლისაა და თავის ჩიჩისბედის ელოდება!

ჰ ე რ მ ი ა. მაგრამ სანამ მისი დედა ცოცხალია, ასე იქნება, მალვოლიო. ვინ გიბრძანათ, ჩელიოს ქმედებებზე თვალის დევნა? იცოდეთ, ჩელიოს გზად არ უნდა შეხვდეს ისეთი ადამიანი, რომელსაც ცუდის მომასწავებლად ჩათვლის; მან არ უხდა გაიგოს, თუ როგორ ბუზღუნებთ მაწანწალა ძაღლსავით, რომელსაც ძვალს ართმევენ! წინააღმდეგ შემთხვევაში ზეცას ეფიცავ! – ვერცერთი თქვენგანი ერთ ღამესაც ვერ დაბყოფს ამ სახლში!

მ ა ლ ვ ო ლ ი ო. მე სულაც არ ვბუზღუნებ; ჩემი სახე არაა ბოროტების მომასწავებელი; თქვენ მეკითხებით, რომელ საათზე გაეიდა ჩემი ბატონი, მე კი გპასუხობთ, რომ ის არც დაბრუნებულა. მას შემდეგ, რაც სიყვარული შეუჩნდა, კვირაში ოთხჯერაც არ ჩნდება ხოლმე სახლში.

ჰ ე რ მ ი ა. რატომ ადევს ამ წიგნებს მტვერი? რატომაა მის ოთახში ავეჯი მოუწესრიგებელი? მე რატომ უნდა ჩავერიო ყველაფერში, როდესაც მსურს, რომ რაღაც ჩემი ნების შესაბამისად გაკეთდეს? თქვენ შეგიძლიათ იმაჯელოთ იმის შესახებ, რაც არ გეხებათ, ხოლო ჭეშმარიტ ვალდებულებებს უხეიროდ ასრულებთ, და საზრუნავი, რომელიც თქვენ გაგვთ ჩაბარებული, სხვათა საზრუნავი ხდება! წადით აქედან და ნაკლები იბუაპარაკეთ!

შემოდის ჩ ე ლ ი ო.

აბა, ჩემო ძვირფასო შვილო, დღეისათვის რა სიამე გელით? მსახურები გადიან.

ჩ ე ლ ი ო. იგიცე, რაც თქვენ, დედილო. *(ჯდება.)*

ჰ ე რ მ ი ა. როგორ გაგუზიარებთ ერთმანეთს მხოლოდ სიამეს, და არა სევდას? ეს უსამართლობაა, ჩელიო... გქონდეს ისეთი საიდუმლო, შვილო ჩემო, რომელიც გულს გტკენს და გულგრილს გხდის ყველაფრის მიმართ, რაც ირგვლივ ხდება.

ჩ ე ლ ი ო. არ მაქვს საიდუმლოები და რომც მქონოდა, მენდომებოდა, რომ ცანდაკებად გადავექციე.

ჰ ე რ მ ი ა. როდესაც ასი-ოცდარვამეტი წლისა იყავი, შენი ყველა პატარა ნუბილი თუ სევდა ჩემთან იყო დაკავშირებული; ამ თვალების მოალერსე თუ უხეშ მზერაზე იყო დამოკიდებული შენი თვალების სევდა თუ მხიარულება, ჩემი გული შენთან ყოველთვის დაკავშირებული იყო ნვრილი ძაფით. ახლა კი, შვილო, მე მხოლოდ მოხუცი ვარ და, შეიძლება, არ ძალმიძს სევდა შეგიმსუბუქო, მაგრამ გაზიარება – შემიძლია.

ჩ ე ლ ი ო. თქვენც ხომ მშვენიერი იყავით! ამ ვერცხლის თმებს მიღმა, კეთილშობილური სახე რომ მოჩარჩოებული გაქვთ, ამ მანტილიის ქვეშ, რომელიც თქვენს ტანს ფარავს, თვალი ჯერ კიდევ ამჩნევს დედოფლის დიდებულ მშვენიერებასა და მონადირე-დიანას გრაციას. ო, ჩემო დედილო, სიყვარულს აღძრავდით თქვენ! ნახევრადმოხურული ფანჯრების ქვეშ მუდამჟამ მოისმოდა გიტარების ხმა; ამ ხმაურიან მდელოებს შორის, ზეიმების ამ შორევში გაატარეთ უდარდელი და მედიდური ახალგაზრდობა; თქვენ კი არ გიყვარდათ. მამაჩემის ერთერთი ნათესავი თქვენდამი სიყვარულის გამო გარდაიცვალა.

ჰ ე რ მ ი ა. რა მოგონებებს ალვიძებ ჩემში!

ჩ ე ლ ი ო. ო, თუ თქვენს გულს ძალუძს სევდის გადატანა, თუ ეს არ მოგგვრით ცრემლებს, მომიყევით, დედილო, ყველაფერი მომიყევით!

ჰ ე რ მ ი ა. იმ დროს მამაშენს ჯერ არ შევხვედროდი. ვინაიდან ჩვენ ნათესაური კავშირი გვქონდა, ის ახალგაზრდა ორსინის სახელით თხოვნით მოვიდა ჩვენს ოჯახში. შენმა პაპამ სიხარულით მიიღო ის და დაუახლოვდა. ორსინი მშვენიერი სასიძო იყო, მაგრამ მაინც უარი ეუთხარი. მამაშენი მისი სახელით მთხოვდა სიყვარულს და ამით ის ბოლო წვეთი სიყვარულიც მომიკლა, რომელიც გამაჩნდა ორსინისადმი. მაშინ ვერ ვხვდებოდი, თუ რაზომ ვუყვარდი. როდესაც მას გადასცეს ჩემი პასუხი, მან გონება დაკარგა. თუმცა ხანგრძლივ განშორებას,

მოგზაურობაა, რომელიც შემდგომ დაგეგმა და რომელმაც საგრძნობლად გააუმჯობესა მისი მდგომარეობა – უნდა გაექარწყლებინა ნალველი. ორსინის მამაშენი ჩაენაცვლა და მთხოვდა იმას, რაც ვერ მიიღო. მე კი გულწრფელი სიყვარულით შევიყვარე. ხოლო პატივისცემა, რომელიც ჩემს მშობლებს აღეძრა, არ მაილევდა მერყეობის უფლებას. ქორწინებია შესახებ გადაწყვეტილება უმალ მივიღეთ, ხოლო რამდენიმე კვირაში ჩვენს თვალწინ ტაძრის კარიც გაიღო. ამავე დროს ორსინი დაბრუნდა. მამაშენთან მოვიდა, საყვედურებით ავსო, ბრალი დასდო იმაში, რომ მისი ნდობა ბოროტად გამოიყენა და რომ სწორედ მამაშენის გამო ეუთხარი უარი სიყვარულზე. „ყოველ შემთხვევაში, – დაამატა მან, – თუ თქვენ ჩემი სიკვდილი გსურდათ, დაუკმაყოფილებელი არ დარჩებით". ამ სიტყვებით შეძრწუნებულმა მამაშენმა ჩემს მამას მიმართა, რათა ამ უკანასკნელს დაედასტურებინა ჭეშმარიტება და ცდუნებიდან გამოეყვანა ორსინი. სამნუხაროდ, უკვე გვიანი იყო; უბედური ყმაწვილი დაშნის წვერით განგმირული თავის ოთახში იპოვეს.

მესამე სცენა

კლაუდიოს ბაღი

შემოდიან კ ლ ა უ დ ი ო და ტ ი ბ ი ა

კ ლ ა უ დ ი ო. მართალი ხარ, ჩემი ცოლი – უბინოების საგანძურია. მეტი რა შემიძლია, რომ გითხრა? ეს უდრეკი სათნოებაა.

ტ ი ბ ი ა. ასე ფიქრობთ, სენიორ?

კ ლ ა უ დ ი ო. ის ხომ ვერავის აუკრძალავს მისი ფანჯრების ქვეშ სიმღერას? მოუთმენლობა, რომელსაც სახლში ავლენს, მისი ხასიათის შედეგია. დააკვირდით, რომ დედამისი, როგორც კი ამ საკითხს შევეხე, იმთავითვე დამეთანხმა?

ტ ი ბ ი ა. რასთან დაკავშირებით?

კ ლ ა უ დ ი ო. ი. იმასთან დაკავშირებით, რომ მისი ფანჯრების ქვეშ მღერიან.

ტ ი ბ ი ა. სიმღერაში არაფერია ცუდი. მეც ხშირად წავიმღერებ ხოლმე.

კ ლ ა უ დ ი ო. მაგრამ კარგად მღერა – რთულია.

ტ ი ბ ი ა. რთულია ჩემთვის და თქვენთვის, ვინაიდან ბუნებამ არ დაგვაჯილდოვა სმენით და არც არასდროს გვიცდია ხმის განვითარება; მაგრამ, დააკვირდით, როგორ მარჯვედ მღერიან მსახიობები თეატრში.

კ ლ ა უ დ ი ო. ეს ადამიანები მთელ ცხოვრებას სცენაზე ატარებენ.

ტ ი ბ ი ა. როგორ ფიქრობთ, ნელში რამდენს უხდიან?

კ ლ ა უ დ ი ო. ვის? მსოფლიო მოსამართლეს?

ტ ი ბ ი ა. არა, მომღერალს.

კ ლ ა უ დ ი ო. არ ვიცი. მსოფლიო მოსამართლეს იმის მესამედს უხდიან, რასაც მე ვიღებ; იუსტიციის ნრჩეველებს კი – ხახევარა.

ტ ი ბ ი ა. მე რომ სანეფო ნრჩეველი ვყოფილიყავი, ხოლო ჩემს ცოლს საყვარლები ჰყოლოდა, პირადად მე გაჩოვიტანდი მათ განაჩენს.

კ ლ ა უ დ ი ო. რამდენნლიან კატორღას მიუსჯიდი?

ტ ი ბ ი ა. სიკვდილით დავსჯიდი. სასიკვდილო განაჩენი – კარგი რანაა, თუ მას ხმამაღლა კითხულობ.

კ ლ ა უ დ ი ო. მას არათუ მოსამართლე, არამედ მდივანი კითხულობს.

ტ ი ბ ი ა. თქვენი საკამართლოს მდივანს სანდომიანი ცოლი ჰყავს.

კ ლ ა უ დ ი ო. არა, თავნჯდომარეს ჰყავს სანდომიანი ცოლი; გუშინ მათთან ერთად ვსაუზმობდი.

ტ ი ბ ი ა. ასევე მდივანთანაც საუზნობდით; მამაკაცი, რომელიც დღეა გვეწვევა, – მდივანის ცოლის საყვარელია.

კ ლ ა უ დ ი ო. რომელი მამაკაცი?

ტ ი ბ ი ა. რომლის მოწვევაც თქვენ მიბრძანეთ.

კ ლ ა უ დ ი ო. მისი მოსვლა აღარ არის საჭირო იმის შემდეგ, რაც ახლა ვთევი.

ტ ი ბ ი ა. რასთან დაკავშირებით?

კ ლ ა უ დ ი ო. ჩემს ცოლთან დაკავშირებით.

ტ ი ბ ი ა. აი ისიც მოვიდა.

შემოდის მ ა რ ი ა ნ ა.

მ ა რ ი ა ნ ა. იცით, რა დამემართა. სანამ თევენ აქ არ იყავით? თქვენი ბიძაშვილი მესტუმრა.

კ ლ ა უ დ ი ო. ნეტავი ვინ იყო? სახელი მითხარი.

მ ა რ ი ა ნ ა. ოტავიო. სიყვარული ამიხსნა თავისი მეგობრის – ჩელიოს სახელით. ვინ არის ეს ჩელიო? იცნობთ მას? კეთილი ინებეთ, აღარ მისცეთ უფლება ამ სახლში მოსვლისა; არც ჩელიოს, არც ოტავიოს.

კ ლ ა უ დ ი ო. ვიცნობ ჩელიოს, ჩვენი მეზობლის, ჰერმიას ვაჟია. თქვენ რა უპასუხეთ?

მ ა რ ი ა ნ ა. მნიშვნელობა არ აქვა, თუ რა ვუპასუხე. კარგად გაიგეთ, რაც გითხარით? უბრძანეთ თქვენა მსახურებს, რომ არ შემოუშვან არც ეს ადამიანი და არც მისი მეგობარი. მათგან სამინელი თავხედობაცაა მოსალოდნელი და მოხარული ვიქნები, თუ თავს ავარიდებ მსგავს შემთხვევას. *(გადის.)*

კ ლ ა უ დ ი ო. ამაზე რას იტყვი, ტიბია? ამ ყველაფერში რაღაც ეშმაკობა იმალება.

ტ ი ბ ი ა. ასე ფიქრობთ, სენიორ?

კ ლ ა უ დ ი ო. რატომ არ მითხრა, თუ რა უპასუხა? სიყვარულის ახსნა – თავხედობაა, ნამდვილად; მაგრამ პასუხიც უნდა ვიცოდე. ეჭვი მაქვს, რომ ამ გიტარების ცერემონიალს ჩელიო განაგებს.

ტ ი ბ ი ა. ავუკრძალოთ ამ ორ ადამიანს აქ მოსვლა – ეს საუკეთესო გამოსაეალია, რათა ისინი თავიდან მოვიცილოთ.

კ ლ ა უ დ ი ო. ამაში დარწმუნებული იყავი. ამ ამბის შესახებ სიდედრს უნდა მოვუყვე. ვგონებ, ჩემი მეუღლე მატყუებს და ეს ისტორია უბრალოდ მოგონილია, რათა გამაცუროს და აზროვნების უნარი მომიშალოს.

გადიან.

მოქმედება მეორე

სცენა პირველი

ქუჩა.

შემოდიან ო ტ ა ვ ი ო და ს ი უ ტ ა.

ო ტ ა ვ ი ო. თქვენ ამბობთ, რომ უარი თქვა თავის გადაწყვეტილებაზე?

ს ი უ ტ ა. ვაი, საწყალი ჯმაწვილი! მისი სიყვარული – უკიდეგანოა და ნაღველმაც კი არ იცის, თუ რა სურვილები იწვევს მას. ასე მგონია, რომ ეჭვის თვალით გიყურებთ თქვენც, მეც და ყველაფერს, რასაც ირგვლივ ხედავს.

ო ტ ა ვ ი ო. არა, ზეცას ვფიცავ, არ დავიხევ; ახლა მეც მარიანას მსგავსი გავხდი, ხოლო სიჯიუტით ტკბობაც შეიძლება. ან ჩელიო ნარმატებით მიიღებს თავისას ან კიდევ ჩემი მეუვრმეტყველება გამოიცალა.

ს ი უ ტ ა. მისი ნების ნინააღმდეგ შახვალთ?

ო ტ ა ვ ი ო. დიახ, რათა მოვიქცე ისე, როგორც ჩემი უფროსი და. ჩემი ნება მკარნახობს რომ სენიორ კლაუდიოს, ამ მოსამართლეს, რომელიც ზიზღს მგვრის და მთელი თავისი რაობით მძულს – თავისი ადგილი მივუჩინო!

ს ი უ ტ ა. მაშ გადავცემ მას თევენს პასუხს, მე კი აღარ ჩავერევი ამ საქმეში.

ო ტ ა ვ ი ო. მე იმ მოთამაშეს ვგავარ, რომელიც სხვისთვის იბრძვის და არაფერში უმართლებს; ის მზად არის გასწიროს თავისი საუკეთესო მეგობარი, ვიდრე დათმოს, და აღწფოთება, რომელსაც სხვისი ფულის დაკარგვა იწვევს, ასჯერ უფრო მეტად აღაგზნებს მას, ვიდრე საკუთარი უბედურება.

შემოდის ჩ ე ლ ი ო.

ნუთუ, ჩელიო, უარს ამბობ საკუთარ ზრახვაზე?

ჩ ე ლ ი ო. სხვა რა შემიძლია?

ო ტ ა ვ ი ო. არ მენდობი? რა გჭირს? თოვლზე მკრთალი ფერი გადევს სახეზე. რა გემართება?

ჩ ე ლ ი ო. მაპატიე, გთხოვ, მაპატიე! რაც გინდა, ის გააკეთე, მიდი მარიანასთან. უთხარი, რომ ტყუილს შეუძლია ჩემი ნოკვლა და რომ ჩემი ცხოვრება – მის მზერაშია. (*გადის.*)

ო ტ ა ვ ი ო. ძალიან უცნაურია, ზეცას ვფიცავ!

ს ი უ ტ ა. ჩუმად! მწუხრის ზარი რეკავს; ბაღის კუტიკარი გაიღო; მარიანა გამოვიდა. ნელ-ნელა გვიახლოვდება.

სიუტა გადის, შემოდის მ ა რ ი ა ნ ა.

ო ტ ა ვ ი ო. მშვენიერო მარიანა, შეგიძლიათ წყნარად გეძინოთ ამაღამ. ჩელიოს გული სხვას ეკუთვნის, აწი თქვენი ფანჯრების ქვეშ აღარ იმღერებს სერენადებს.

მ ა რ ი ა ნ ა. რა უბედურებაა, რა საშინელებაა, რომ ამგვარ სიყვარულზე უარი ვთქვი! აი, როგორი დაუნდობელია ჩემი ბედი. ამ წამს ვაპირებდი მის შეყვარებას.

ო ტ ა ვ ი ო. ნუთუ?

მ ა რ ი ა ნ ა. დიახ, გეფიცებით, ღღეს საღამოს ან ხვალ დილით, ყველაზე გვიან – კვირას მისი გავხდებოდი. თანაც ვინ ვერ მიაღწევდა თავის მიზანა, როდესაც თქვენნაირი შუამავალი ეყოლებოდა? შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მისი ვნება არაბული ან ჩინური ენის მსგავსი იყო, მას მთარგმნელი სჭირდებოდა ან კიდევ ის, ვინც გამოთქვამდა მის სათქმელს.

ო ტ ა ვ ი ო. იცინეთ, იცინეთ, თქვენი აღარ გვეშინია.

მ ა რ ი ა ნ ა. ან, იქნებ, ეს სიყვარული საწყალი ძუძუმწოვარა ბაეშვის მსგავსი იყო, ხოლო თქვენ, როგორც გონიერმა ძიძა-მარჩენალმა, არ მიეცით უფლება, რომ წაქცეულიყო, ამიტომაც აჭიმით დაასეირნებდით ქალაქში.

ო ტ ა ვ ი ო. გონიერი ძიძა-მარჩენალი რძით გამოკვებავდა ჩვილს და ამით დატკბებოდა; იმ რძით, რომელსაც თქვენ თავის დროზე არ გაკლებდათ ძიძა-მარჩენალი და რომელიც ჯერ კიდევ არ შეგშრობიათ ტუჩებზე. მისი ამოცნობა მარტივია ყოველ თქვენს სიტყვაში.

მ ა რ ი ა ნ ა. რა ეწოდება ამ საოცარ რძეს?

ო ტ ა ვ ი ო. გულგრილობა. არც სიყვარული შეგიძლიათ, არც სიძულვილი. ბენგალიურ ვარდსა ჰგავხართ: არც აურნელით გამოირჩევით, არც ეკლები გაგაჩნიათ.

მ ა რ ი ა ნ ა. ლამაზად თქვით. ეს შედარება წინასწარ ხომ არ მოგიფიქრებიათ? თუ არ წვავთ ამგვარი გამონათქვამების ფურცლება, მე გადმომეცით, აუცილებლად ვასწავლი ამავე გამონათქვამებს ჩემს თუთიყუშს.

ო ტ ა ვ ი ო. რა ვთქვი საწყენი? ყვავილს არომატის დაკარგვა მიმზიდველობას არ უკარგავს. პირიქით, ღმერთმა ყველაზე ლამაზი ყვავილები სნორედ ასეთ მახასიათებლებით დაასაჩუქრა. და იმ ღღეს, როდესაც, ვით ახალი გალატეა, ტაძრის სილრმეში მარმარილოდ გადაიქცევით, მშვენიერი ქანდაკების სახით მოგვეელინებით; და ეს ქანდაკება იპოვის ღირსეულ ნიშს რომელიმე საალმსარებლოში.

მ ა რ ი ა ნ ა. ძვირფასო ბიძაშვილო, ნუთუ ქალის ხვედრი აიბრალულს არ აღგიძრავთ? შეხედეთ, რა მხვდა წილად: ბედმა ჩათვალა, რომ ჩელიოს უნდა შევყვარებოდი ან გადაეწყვიტა,

რომ ვუყვარვარ. ჩელიომ უამბო ამის შესახებ თავის მეგობრებს და მეგობრებმა გადაწყვიტეს, რომ მე, მიუხედავად იმისა, რომ სიკვდილით დასჯის საფრთხია წინამე წარესდგები, ჩელიოს საყვარელი უნდა გავმხდარიყავი. ნეაპოლიტანურმა ახალგაზრდობამ პატივი მცა და თქვენი სახით გამომიგზავნა მისი ლირსეული წარმომადგენელი, რომელსაც ევალება, შემატყობინოს, რომ უნდა შევიყვარო ზემოხსენებული სენიორ ჩელიო და საამისოდ მეძლევა ერთი კვირა. ანონ-დანონეთ ეს, გთხოეთ. თუკი მისი გავხდები, რას იტყვიან ჩემ შესახებ? განა ზიზღს არ იმსახურებს ქალი, რომელიც მსგავს ნინადადებას უმალვე თანხმდება? არ დაძრახავენ მას, თითით არ გაიშვერენ მისკენ და არ იქცევა მისი სახელი მისამღერად სუფრის სიმღერებისა? და თუ, პირიქით, უარს იტყვის ამ სიყვარულზე, რომელ ურჩხულს შეადარებენ? უფრორე ცივი ქანდაკება გამოინახება? და ადამიანი, რომელიც მას გამოელაპარაკება, გააჩერებს შუა მოედანზე, როდესაც ასეთი ქალი მიემართება ლოცვების ნიგნით ხელში, ხომ ექნება ამ ადამიანს უფლება უთხრას: თქვენ ბენგალიური ყარდი ხართ, – ეკლებისა და არომატის გარეშე.

ო ტ ა ვ ი ო. დაო, დაო, ნუ ბრაზდებით!

მ ა რ ი ა ნ ა. არ არის სასაცილო პატიოსნებისა და ცოლ-ქმრული ერთგულების შესახებ საუბარი, იმ აღზრდის შესახებ, რომელიც გოგონამ მიიღო, ამაყი გულის შესახებ, რომელსაც ეგონა, რომ ის რაღაცად ღირდა. ნუთუ არ არის სასაცილო იმია თქმა, რომ, სანამ საყვარელი ყვავილის მტვერი გაიფანტება, საჭიროა, რომ მისი ჯამი ცრემლებმა დაასველოს, მზის სხივებმა კი სითბო აჩუქოს და ხელის ნაზი შეხებით გაიფურჩქნოს? განა ეს ყველაფერი არ შგავს აიზმარს, საპნის ბუშტს, რომელიც უმალვე აკდება, როგორც კი ვინმე პრანჭია კაცი ჩაისუნთქავს?

ო ტ ა ვ ი ო. არასწორად მსჯელობთ ჩემ შესახებ; ისევე, როგორც ჩელიოს შესახებ.

მ ა რ ი ა ნ ა. და რა არის ქალი? წამიერი გასართობი, ნაზი ფიალა, რომელიც ცერის წვეთს ინახავს, ფიალა, რომელიც პირთან მიაქვთ და ზურგს უკან მოისვრიან. ქალი – მოსალხენი საგზურია! განა არ ამბობენ ქალის დანახვისას: „აი, მშვენიერი ღამე მოდის!" და სულელი არ არის ის, ვინც ქალის დანახვისას, თვალს აარიდებს მას; ვინც ჩურჩულით იტყვის: „აი, იქნებ სბორედ ეს არის მთელი ცხოვრების ბედნიერება" და გვერდს აუვლის? (*გადის.*)

ო ტ ა ვ ი ო (*მარტო*). ტრა-რა, ბუმ-ბუმ! ტრა-რი-ლა-ლა! სასაცილო დედაკაცია! ჰეი! არის მანდ ვინმე?! (აკაკუნებს სამიკიტნოში.) მომიტანეთ ამ ფაიჩატურში ერთი ბოთლი რომელიმე დასალევისა.

მ ს ა ხ უ რ ი. რას ინებებთ, სენიორ? ლაკრიმა ქრისტი გსურთ?

ო ტ ა ვ ი ო. კარგი, კარგი. წადით, მოძებნეთ მეზობელ ქუჩებში სენიორ ჩელიო. შავი მოსასხამი აცვია და კიდეე უფრო შავი შარვალი. უთხარით, რომ მისი ერთ-ერთი მეგობარი ლაკრიმა ქრისტის სრულ სიმარტოვეში სვამს. მემდგომ კი დიდ მოედანზე გადით და მოიყვანეთ ვინმე როზალინდა – იგი წითურაა და ყოველთვის ფანჯარასთან ზის.

მსახური გადის.

არ ვიცი, ყელი ასე რატომ მეკუმშება; სევდიანი ვარ, როგორც დაკრძალვის ცერემონია. (*სვამს.*) აქ ვისადილებდი კიდევაც; აი უკვე ბინდდება. დინ-დინ! რა მოსანყენია – ეს მშუხრის ლოცვა! ხომ არ მეძინება? თითქოს ვშეშდები.

შემოდიან კ ლ ა უ დ ი ო და ტ ი ბ ი ა.

ბიძაშვილო კლაუდიო... თუკენ – დიდებულო მოსამართლევ; სად მიიჩქარით ასეთი აწრაფი ნაბიჯებით?

კ ლ ა უ დ ი ო. საქმე გაქვთ, სენიორ ოტავიო?

ო ტ ა ვ ი ო. მინდა გითხრათ, რომ თქვენ ხართ მოსამართლე, რომელიც ბრწყინავს თავისი ფორმებით.

კ ლ ა უ დ ი ო. სხეულის ფორმებით თუ ენის ფორმებით?

ო ტ ა ვ ი ო. ენის ფორმებით, ენის. თქვენი პარიკი სავსეა მუევრმეტყველებით, ხოლო ფეხები – ორი მომაჯადოებელი ფრჩხილია.

კ ლ ა უ დ ი ო. გაკვრით შევნიშნავ, სენიორ ოტავიო, რომ ჩემი კარის ჩაქუჩმა, როგორც ჩანს, თითები დაგითუთქათ.

ო ტ ა ვ ი ო. როგორ, გონივრულობით აღსავსე მოსამართლევ?

კ ლ ა უ დ ი ო. როდესაც სცადეთ, ხელი მიგეკარებინათ, ცბიერებით აღსავსე ბიძაშვილო.

ო ტ ა ვ ი ო. ნუ გერიდებათ იმის დამატება, პატივცემულო მოსამართლევ, რომ ეს ჩაქუჩი თქვენს კარზე იყო; შეგიძლიათ შელებოთ კიდეეაც, დასვრისა არ მეშინია.

კ ლ ა უ დ ი ო. რატომ არ გეშინიათ, ხუმარა ბიიაშვილო?

ო ტ ა ვ ი ო. არასდროს მიგეკარები და ამიტომ, გესლიანო მოსამართლევ.

კ ლ ა უ დ ი ო. მაგრამ მოგიწიათ მიკარება, ვინაიდან ჩემმა მეუღლემ მსახურებს უბრძანა, რომ ცხვირწინ უმალვე მოგიკეტონ კარი.

ო ტ ა ვ ი ო. ახლომხედველობის სათვალე გაქვთ, თავაზიანობით აღსავსე მოსამართლევ; არასწორი მისამართით თქვით ამგვარი მოსალმება.

კ ლ ა უ დ ი ო. მშვენიერი სათვალე მაქვს, ყოველთვის მზადაა პასუხის გასაცემად; განა შენ არ იყავი ის, ვინც ჩემს მეუღლეს სიყვარულს უხსნიდა?

ო ტ ა ვ ი ო. ვისი აბელით, ძართლმსაჯულების გონებაგაჩჭრიახო ეურუმო?

კ ლ ა უ დ ი ო. შენი მეგობრის – ჩელიოს სახელით, ბიძაშვილო; საუბედუროდ, ეს მეც გავიგე.

ო ტ ა ვ ი ო. ვისი ყურებით, მოუსყიდველო მოხელევ?

კ ლ ა უ დ ი ო. ჩემი მეუღლის ყურებით, რომელმაც ყველაფერი მომიყვა, საყვარელო ქალების მუსუსო.

ო ტ ა ვ ი ო. ნუთუ ყველაფერი, პატიკცემულო მეუღლევ? ხომ არაფერი ჩარჩენილა მის ლამაზ ყურში?

კ ლ ა უ დ ი ო. მისი პასუხი ჩარჩა, ო, სამიკიტნოების ხშირო სტუმარო, მისი პასუხი, რომელიც ვალდებული ვარ, რომ მე მოგახსენოთ.

ო ტ ა ვ ი ო. მე კი არა ვარ ვალდებული მოვისმინო, ო, ძვირფასო ოქმო.

კ ლ ა უ დ ი ო. ესე იგი ჩემი სახლის კარი გადმოგცემთ ამ პასუხს მთელი თავისი რაობით, რულეტის ერთგულო მოყვარულო, თუკი მიბრძანდებით მასთან პასუხის გასაგებად.

ო ტ ა ვ ი ო. არც კი ვიფიქრებ, ო, ძვირფასო სიკვდილის განაჩენო; ჩემი ბედხიერებისთვის ეს საჭირო არაა.

კ ლ ა უ დ ი ო. დაე არ დაანაღვლიანოს ის დარდმა, ო ძვირფასო კამათელო! კეთილდღეობას გისურვებ.

ო ტ ა ვ ი ო. ამის შესახებ არ იდარდო, ო, ძვირფასო საპყრობილის ურდულო! ჩემი სიზმარი უდარდელია, როგორც სასამართლოს პროცესი.

კლაუდიო და ტიბია გადიან.

(მარტო.) თითქოს იქ ჩელიოს ვხედავ. ჩელიო! ჩელიო! ჯანდაბა, ვისზე ბრაზობს?

შემოდის ჩ ე ლ ი ო.

იცი, ძვირფასო მეგობარო, შენმა პრინცესამ რა დაგვმართა? ყველაფერი თავის ქმარს უამბო.

ჩ ე ლ ი ო. შენ საიდან იცი?

ო ტ ა ვ ი ო. ყველაზე სანდო წყაროდან. ახლახან წავიდა აქედან კლაუდიო. მარიანამ ბრძანება გასცა, რომ ჩვენ ცხვირწინ მსახურებმა კარი დაკეტონ, თუ ისევ ვცდით მასთან მისვლას.

ჩ ე ლ ი ო. დღეს მარიანა ნახე; რა გითხრა?

ო ტ ა ვ ი ო. ისეთი არაფერი, რაც ამ სასიხარულო ახალ ამბავზე მიუთითებდა; სასიამოვნოც არაფერი უთქვამს. მომისმინე, ჩელიო. დაივიწყე ამ ქალის შესახებ. ჰეი, მეორე ჭიქაც მოიტახეთ!

ჩ ე ლ ი ო. ვისთვის?

ო ტ ა ვ ი ო. შენთვის! მარიანა – უკარებაა; რიგიანად არც კი მახსოვს, თუ რა მითხრა დილით; სულელივით ვიდექი მის ნინაშე და არ ვიცოდი, რა მეპასუხა. ერთი სიტყვით, აღარ იფიქრო მის შესახებ – შეეთანხმდით? ზეცამ დამწყევლოს, თუ ისევ წარმოვთქვამ მასთან სიტყვას. გამხნევდი, ჩელიო, აღარ იფიქრო ამის შესახებ.

ჩ ე ლ ი ო. ნახვამდის, მეგობარო.

ო ტ ა ვ ი ო. სად მიდიხარ?

ჩ ე ლ ი ო. საქმე მაქვს ქალაქში.

ო ტ ა ვ ი ო. ისეთი სახე გაქვს, თითეოს თავის დახრჩობას აპირებ. საკმარისია, ჩელიო. რას ფიქრობ? ამქვეყნად სხვა მარიანებიც არსებობენ. ერთად ვისადილოთ და ჯანდაბაშიც წასული მარიანა.

ჩ ე ლ ი ო. ნახვამდის, ნახვამდის. მეტხანს ვერ გავჩერდები. ხვალ ისევ ვნახავთ ერთმანეთს, ამხანაგო. *(გადის.)*

ო ტ ა ვ ი ო. ჩელიო, მომისმინე! სხვა მარიანას მოვნახავთ, საყვარელს, კრავივით უწყინარს, და, რაც მთავარია, მწუხრის ლოცვაზე არ ივლის. აჰ, წყეული ზარები! როდის დაასრულებენ ჩემს დასამარებას?

მ ს ა ხ უ რ ი. სენიორ, წითურა ქალბატონი არ იყო ფანჯარასთან, ამიტომ თქვენი მოწვევა ვერ გადავეცი.

ო ტ ა ვ ი ო. ჯანდაბაში წასულიყოს მთელი სამყარო! ნუთუ დღეს მარტოობაში სადილობა მიწერია? უკვე ღამეც კი დადგა. ჯანდაბა! რა გავაკეთო? მშვენიერია! ეს ნამდვილად საჩემოა. *(სვამს.)* ნაღველს ამ ღვინოში დავახრჩობ ან ღვინოს მაინც დავახრჩობ ამ ნაღველში. ა, ლოცვა დასრულდა! მარიანა ბრუნდება.

შემოდის მ ა რ ი ა ნ ა.

მ ა რ ი ა ნ ა. ისევ აქ ხართ, სენიორ ოტავიო, და უკვე სადილობთ? ალბათ, მოსაწყენია ასეთ დროს მარტოობაში ყოფნა.

ო ტ ა ვ ი ო. მთელმა სამყარომ მიმატოვა. მინდა მივაღწიო იმას, რომ თვალებში მიორდებოდეს ყველაფერი, მსურ.. საკუთარი თავის თანამოსუფრე ვიყო.

მ ა რ ი ა ნ ა. როგორ! არც მეგობარი და არც საყვარელი, რომელიც ამ დიდი სიმძიმისგან – მარტოობისგან გიხსნიდათ?

ო ტ ა ვ ი ო. სიმართლე გითხრათ? მსახური გავგზავნე, რათა ვინმე როზალინდა დაეპატიჟებინა ჩემი სახელით, მაგრამ აღმოჩნდა, რომ როზალინდა მეზობელთან სადილობს, როგორც პატიოსანი მანდილოსანი.

მ ა რ ი ა ნ ა. ეს ჭეშმარიტად საწყენია და, ვვარაუდობ, თქვენს გულში ახლა საშინელი სიცარიელეა.

ო ტ ა ვ ი ო. სიცარიელე, რომლის აღწერასაც ვერ შევძლებდი და რომლის გაზიარებასაც ამაოდ ვცდილობ ამ ფიალასთან. ზარის ყლარუნმა კი რამდენიმე საათით სულაც დამაყრუა.

მ ა რ ი ა ნ ა. მიპასუხეთ, ბიძაშვილო, ბოთლში, რომლიდანაც სვამთ, თხუთმეტ სოლდოს იხდით?

ო ტ ა ვ ი ო. დამცინით? ლაკრიმა ქრისტის ვსვამ; ეს ხომ ცრემლებია თავად ქრისტესი.

მ ა რ ი ა ნ ა. მაკვირვებს, რომ იმ ღვინოს არ სვამთ, რომელიც თხუთმეტი სოლდო ღირს, – გთხოვთ, დალიეთ.

ო ტ ა ვ ი ო. მაპატიეთ, რატომ უნდა დავლიო?

მ ა რ ი ა ნ ა. გასინჯეთ; დარწმუნებული ვარ, საერთოდ არ გახსოვდებათ თქვენი ღვინისგან.

ო ტ ა ვ ი ო. ისე განსხვავდება ერთმანეთისგან, როგორც ნიზე და ფანარი.

მ ა რ ი ა ნ ა. არა, მერწმუნეთ, ერთი და იგივეა.

ო ტ ა ვ ი ო. ღმერთო დამიფარე! ხომ არ მეხუმრებით?

მ ა რ ი ა ნ ა. ფიქრობთ, რომ განსავავდება?

ო ტ ა ვ ი ო. რა თქმა უნდა.

მ ა რ ი ა ნ ა. ვიფიქრე, რომ ღვინო – იგივეა, რაც ქალი. განა ქალი არ ჰგავს ძვირფას ფიალას, რომელიც ამ თლილ მინასავით დალუქულია? განა ის არ იწვევს აღტაცებას, ღვთაებრივსა თუ მდაბიურს, რომელიც განისაზღვრება მისი ძალითა და ღირსებით? და განა არ გვხვდება ქალთა შორის იაფფასიანი ღვინოცხა და ქრისტეს ცრემლებიც? რად ღირს თქვენი გული, თუ მას ჭკუაა დაარიგებთ? თქვენ არ დალევდით იმ ღვინოს, რომელსაც ხალხი სხვამს, მაგრამ მოგწონთ ქალები, რომლებიც მას მოსწოხს. კეთილშობილი, დიდებული სინატიე ამ ბოთლისა, რომელიც ოქროსფრად ელავს, ეს მზის პაპანაქებისა და ვეზუვის ლავისგან წარმოშობილი ჯადოსნური წყენა, გაიხსენეთ თქვენ, უძლურსა და მობარბაცეს, კურტიზანის მკლავებისკენ, ხოლო უბრალო ღვინის დალევა გრცხვენიათ და გულს გირევთ. აჰ! თქვენი ტუჩები განაზღებულია, მაგრამ რაც თქვენს გულს ატკივებს – იაფფასიანია. ნახეანდის. ბიძაშვილო; როზალინდას შინ დაბრუნებას გისურვებთ!

ო ტ ა ვ ი ო. გევედრებით, ორი სიტყვით, მშვენიერო მარიანა, ჩემი პასუხი მოკლე იქნება. როგორ ფიქრობთ, რამდენი ხანი უნდა ვუყელიდე ამ ბოთლს, რათა მისი კეთილგანწყობა დავიმსახურო? ის, როგორც თქვენ თქვით, სავსეა ღვთაებრივი სინატიევით, ხოლო ღვინო, რომელსაც ხალხი სვამს, ისე ჰგავს ამ ღვინოს, როგორც გლეხკაცი თავის მეპატრონეს. მაგრამ დააკვირდით, რამდენად უდრტვინველია! ვფიქრობ, ის არავის აღუზრდია, ნას არ გაანია არავითარი შეხელხლება; შეხედეთ, როგორი დამთმობია! ერთი სიტყვაც კი საკმარისი იყო, რათა საპყრობილედან მეხსნა; მტყეპრიც კი არ ჩამოუბერტყავს, ისე გამოთავისუფლდა, რათა რამდენიმე წუთით ეჩუქებინა ჩემთვის თავდავიწყება და მოეკვდარიყო. მისი უმანკო გვირგვინი, პურნელოვანი ცვილით მეწითლებული, ხამში დაიშალა და, არ დავიმალავთ, კინალამ მთლიანად გამოვცალე, როდესაც პირველი მხურვალე კოცნისას ჩავეკარი.

მ ა რ ი ა ნ ა. დარწმუნებული ხართ, რომ იგი უფრო ნეტს იჩსახურებს? თქვენ რომ მისი ერთ-ერთი ჭეშმარიტი საყვარელი ყოფილიყავით და ამ სინოტივის საილუმლოც დაეარგულიყო, ჩაჩვიდოდით ფუღუკანის ხახაში, რათა გადაგერჩინათ მისი ბოლო წვეთი?

ო ტ ა ვ ი ო. ის იმსახურებს იმას, რასაც იმსახურებს, – არც მეტს და არც ნაკლებს. იცის, რომ მისი ღალეება შეიცილება და ამისთვისაა შექმნილი. ღმერთს არ დაუმალავს მისი წყარო მიუვალი კლდის მწვერვალზე თუ ღრმა გამოქვაბულის ფსკერზე; მან მოიქროვილი მტევნების სახით გამოფინა ის ჩვენი გზების კიდეებზე და იმაყეს აკეთებს, რასაც კურტიზანი, – გამვლელის ხელს იჭერს; მზის სხივების ქვეშ თავის მკერდს საჩენებლად გამოდგამს, შედეგად კი ფუტკრებისა და ბაზეების გუნდი გრიგდება მის ირგვლივ. წყურვილით გატანჯულ გამვლელს შეუძლია მისი მწვაწვე მტევნების ჩრდილქვეშ მოსვენება: იგი არასდროს ავლენდა გულგრილობას, არასდროს ტოვებდა უყურადღებოდ მის ნეტარ ცრემლებს. აჰ, მარიანა! სილამაზე – საბედისწერო ნიჭია. სათნოება, რომლითაც იგი ამაყობს, – სიძუნწის დაა, და ზეცა მას უფრო სისუსტეს აპატიებს, ვიდრე სისასტიკეს. ნახვამდის, დაო; გისურვებთ, რომ ჩელიოს დაავიწყდეთ!

მიდის სამიკიტნოში, მარიანა კი – თავის სახლში.

სცენა მეორე

სხვა ქუჩა.

ჩ ე ლ ი ო, კ ი უ ტ ა.

ს ი უ ტ ა. სენიორ ჩელიო, არ ენდოთ ოტავიოს. ხომ არ უთქვამს თქვენთვის, რომ ნშვენიერმა მარიანამ თავისი საბლია კართან მისვლა აუკრძალა?

ჩ ე ლ ი ო. დიახ, მითხრა. რატომ არ უნდა ვენდო?

ს ი უ ტ ა. სანამ აქ ნოვიდოდი, დავინახე: ფანჩატურში მარიანას ესაუბრებოდა.

ჩ ე ლ ი ო. რა არის ამაში საკვირველი? როგორც ჩანს, ჩაუსაფრდა და როდესაც გამოჩნდა, შემთხვევით ისარგებლა და ჩემ შესახებ ესაუბრა.

ს ი უ ტ ა. ვიმდა გითხრათ, რომ ისინი მეგობრულად საუბრობდნენ, როგორც ყველაფერში შეთანხმებული ადამიანები.

ჩ ე ლ ი ო. დარწმუნებული ხარ ამაში, სიუტა? რანან ასეა – ყველაზე ბედნიერი ვარ მოკვდავთა შორის; ეს იმას ნიშნავს, რომ ოტავიო დიდი მონდომებით მოეკიდა ჩემს საქმეს.

ს ი უ ტ ა. დაე ბედი მონყალე იყოს თქვენ წინართ. *(გადის.)*

ჩ ე ლ ი ო. რად არ გავჩნდი ამქვეყნად ტურნირებისა და ბრძოლების დროს? რათა შემეძლოს მარიანასთვის ყვავილების მიტანა და მათი საკუთარი სისხლით დასველება! რათა ვკოფილიყავი ვალდებული, მონინააღმდეგესთან მეჭიდაკა ას მთელი არმიის ნიხააღმდეგ მებრძოლა! რომ საკუთარი ცხოვრების ფასად მისთვის რაღაც სარგებელი მომეტანა! მაგრამ ძე მხიარულად მოქმედება შეშძლია – და არა საუბარი. ენა არ ემორჩილება ჩემს გულს, და შემეძლო მოვმკლარიყავი, როგორც საპყრობილეში გამომწყვდეული მუნჯი, ისე. რომ ეერავინ გამიგებდა.

სცენა მესამე

კლაუდიოსთან.

კ ლ ა უ დ ი ო, მ ა რ ი ა ნ ა.

კ ლ ა უ დ ი ო. თქვენ, სავარაუდოდ, საფრთხობელა გგონივართ და ფიქრობთ, რომ მხოლოდ იმიათვის ვარსებობ, რათა ჩიტებს ვაფრთხობდე.

მ ა რ ი ა ნ ა. საიდან გაგიჩნდათ ესოდენ დახვეწილი აზრი?

კ ლ ა უ დ ი ო. ნუთუ ფიქრობთ, რომ მოსამართლემ არ იცის სიტყვების ფასი და რომ, მის ნდობაზე დაყრდნობით, მარტივად შეგიძლიათ მისი გასულელება, თითქოს იგი მაწანწალა ჯამბაზი იყოს?

მ ა რ ი ა ნ ა. ვის უბრაზდებით?

კ ლ ა უ დ ი ო. გგონიათ, თქვენი სიტყვები ვერ გავიგე, როდესაც თქვით, რომ, თუ ეს ადამიანი ან მისი მეგობარი კიდევ გაბედავს ამ სახლთან მოსვლას, კარი აუცილებლად დაკეტილი დახვდებათ? თქვენ კი ყოველგვარი რიდის გარეშე ესაუბრებით მას სამიკიტნოსთან ფანჩატურში, თანაც სალამოს, და ფიქრობთ, რომ ამაში სამარცხვინოს ვერაფერს დავინახავ!

მ ა რ ი ა ნ ა. ფანჩატურში შემნიშნეთ?

კ ლ ა უ დ ი ო. დიახ, დიახ, დაგინახეთ, აი ზუსტად ამ თვალებით, ფანჩატურში, რომელიც სამიკიტნოსთანაა: სამიკიტნოსთან მდებარე ფანჩატური – ნამდვილად არაა თანანდებობის პირის მეუღლესთან სასაუბრო ადგილი, და სახლის კარის დაკეტვას აზრი არ აქვს, თუ თავად არ გრცხვენია ასე გადიოდე ქუჩაში.

მ ა რ ი ა ნ ა. როდიდან ამეკრძალა თქვენს ნათესავთან საუბარი?

კ ლ ა უ დ ი ო. თუ ეს ნათესავი ერთ-ერთი თქვენი საყვარელია – არ იქნებოდა ცუდი, თუ თავს შეიკავებდით მასთან შეხვედრისგან.

მ ა რ ი ა ნ ა. ოტავიო! ერთ-ერთი ჩემი საყვარელი? გაგიყდით? მას ჯერაც არ ჰქონია ქალთან ურთიერთობა.

კ ლ ა უ დ ი ო. იგი უზნეო ადამიანია. იგი ლოთი და ბედოვლათია.

მ ა რ ი ა ნ ა. მით უფრო ნაკლები საფუძველი გაქვთ, რათა ჩათვალოთ, როგორც თქვენ თქვით, „ჩემს ერთ-ერთ საყვარლად". უბრალოდ აუცილებელი იყო ჩემთვის, რომ ოტავიოსთან მესაუბრა.

კ ლ ა უ დ ი ო. შეეცადეთ, არ მიმიყვანოთ თქვენთვის საწყენ უკიდურესობამდე და დაუფიქრდით, თუ რას აკეთებთ.

მ ა რ ი ა ნ ა. რა უკიდურესობამდე შემიძლია თქვენი მიყვანა?

კ ლ ა უ დ ი ო. მე აგიკრძალავდით მასთან შეხვედრასა და საუბარს, გახურჩევლად იმისა, თუ სად შედგება ეს: ჩემს თუ სხვის სახლში, ან თუნდაც ქუჩაში.

მ ა რ ი ა ნ ა. აბა, აბა, ახალი ამბავი! ოტავიო – ჩემი ნათესავია იმდენად, რამდენადაც თქვენთვისაა ის ნათესავი; მასთან ვისაუბრებ, როდესაც მომეპრიანება, ქუჩაშიაც და სხვა ნებისმიერ ადგილასაც, ამ სახლშიც კი, თუკი იგი ისურვებს მოსვლას!

კ ლ ა უ დ ი ო. არ დაგავიწყდეთ ეს თქვენი ნათქვამი. თქვენთვის სამაგალითო სასჯელს გამოვნახავ, თუ ჩემი ნების ნინაალმდეგ ნახვალთ.

მ ა რ ი ა ნ ა. ნეეგუეთ იმ აზრს, რომ საკუთარი ნების შესაბამისად ვიმოქმედებ. ძალზედ ნაშინებს თქვენი მუქარა!

კ ლ ა უ დ ი ო. მარიანა, შევწყვიტოთ ეს საუბარი. ან უნდა მიხედეთ, რამდენად აუგია ფანჩატურში საუბარი, ან ვალდებულს გამხდით, რომ ძალა გამოვიყენო, რაც ჩემს ნოდებას არ ნეესაბამება. *(გადის.)*

მ ა რ ი ა ნ ა *(მარტო)*. ჰეი, არის აქ ვინმე?

შემოდის მ ს ა ხ უ რ ი.

ხედავთ, აი იმ ქუჩაზე, ფანჩატურში მაგიდასთან ახალგაზრდა მამაკაცი ზის? მიდით და უთხარით, რომ მასთან საუბარი მსურს და ჩემთან ბალში მოვიდეს.

მსახური გადის.

საოცრებაა! ვინ ვგონიეარ? რა არის ამაში ულამაზო? ო, რა სამინლად გამოვიყურები! საზარელი კაბა მაცვია. რას ნიშნავს ეს? ვალდებულს გამხდით, რომ ძალა გამოვიყენო! რა ძალა? როგორ მინდა, რომ დედა ახლა აქ იყოს! არა, არა! იგი პირველივე სიტყვაზე დაეთანხმება მას. დიდი სიამოვნებით ვცემდი ვინმეს. (სკანებს ამხობს.) აჰ, მართლაც, მე ხომ სულელი ვარ! აი ოტავიოც მოვა. ნეტავი ერთმანეთს შეხვდნენ. აჰ, ესე იგი სნორედ ეს არის დასანყისი! ეს მიწინასწარმეტყველეს. ამას მოველოდი! მოთმინება! მოთმინება! იგი სასჯელს მიმზადებს, ნეტავი როგორს, ჰა? ძალზედ მაინტერესებს, რას გულისხმობდა!

შემოდის ო ტ ა ვ ი ო.

დაბრძანდით, ოტავიო, უნდა დაგელაპარაკოთ.

ო ტ ა ვ ი ო. სად მირჩევთ დაბრძანებას? ყველა სკამი გადაბრუნებულია. რა მოხდა?

მ ა რ ი ა ნ ა. არაფერი.

ო ტ ა ვ ი ო. სიმართლე გითხრათ, ბიძაშვილო, თქვენი თვალები საპირისპიროს ამბობენ.

მ ა რ ი ა ნ ა. ვიფიქრე იმის შესახებ, რაც თქვენი მეგობრის – ჩელიოს შესახებ ნითხარით. მიპასუხეთ, თავად რატომ არ მესაუბრება?

ო ტ ა ვ ი ო. ერთობ მარტივი მიზეზის გამო: ის გწერდათ, თქვენ კი მის წერილებს ხევდით;

სხვა გამოგიგზავნათ და სხვასაც აუკრძალეთ საუბარი; იგი გიმღერდათ სერენადებს, თქვენ კი ქუჩაში უეურადღებოდ ტოვებდით. და აი, იმედი დაკარგა და ყველაფერზე ხელი ჩაიქნია, განა სხვაგვარად შესაძლებელი იყო?

მ ა რ ი ა ნ ა. ესე იგი მან გადიწყვიტა, თქვენთან მოვმართათ?

ო ტ ა ვ ი ო. დიახ.

მ ა რ ი ა ნ ა. მაშ მომიყევით მის შესახებ.

ო ტ ა ვ ი ო. სერიოზულად ამბობთ?

მ ა რ ი ა ნ ა. დიახ, დიახ. სავსებით სერიოზულად. გთხოვთ, გისმენთ.

ო ტ ა ვ ი ო. დამცინით?

მ ა რ ი ა ნ ა. ძალზედ ცუდად იცავთ მეგობრის ინტერესებს. მომიყევით-მეთქი; განა ამას მნიშვნელობა აქვს, დაგცინით თუ არ დაგცინით?

ო ტ ა ვ ი ო. იქით-აქეთ რატომ იბედებით? ვხედავ, რომ ბრაზობთ.

მ ა რ ი ა ნ ა. საყვარელის გაჩენა მსურს, ოტავიო... საყვარელის თუ არა, კავალერის მაინც. რას მირჩევთ? თქვენს არჩევანს ვენდობი: ჩელიო თუ სხვა ვინმე – ჩემთვის უმნიშვნელოა; ხვალ, არა, დღესვე ჰირველს, ვინც ამ ფანჯრების ქვეშ მიმდერებს, ჩემი კარი ღია დახვდება. აბა, რას იტყვით? დადუმდით? გეუბნებით, საყვარელია გაჩენა მსურს. აი, აიღეთ ჩემი შარფი: ვისაც გადასცემო, დამიბრუნოს უკან.

ო ტ ა ვ ი ო. მარიანა, რაც არ უნდა იყოს ამ კეთილგანწყობის მიზეზი, რომელმაც ჩემი გამოძახებისა და მოსმენის სურვილი გაგიჩინით, გაფიცებთ, დარჩით ასეთი კიდევ რამდენიმე ბანი. (მუხლი მოიყარა.)

მ ა რ ი ა ნ ა. რას მეტყვით?

ო ტ ა ვ ი ო. თუ ამქვეყნად არსებობს ადამიანი, რომელიც იმსახურებს თქვენს შეცნობას, თქვენთვის ცხოვრებასა თუ სიკვდილს, მაშინ ეს ადამიანი – ჩელიოა. მე ვიცი საკუთარი თავის ფასი, ძვირი არ ვღირვარ, ვიცი, რომ ვნება. რომლის შესახებაც ვსაუბრობ, ჩემში მხოლოდ უბადრუკ შუამავალს ხედავს. აჰ! ნეტავი გენახოთ ის წმინდათწმინდა საკურთხეველი, რომელიც მან თქვენთვის აღმართა, რათა თაყვანი გცეთ, როგორც ღვთაებას. თქვენ, ესოდენ ლამაზი, ესოდენ ახალგაზრდა, ჯერ კიდევ უმანკო, თქვენ ეკუთვნით გამოჩერჩეტებულ მოხუცს, რომელმაც არასდროს იცოდა, თუ რა არის გული. ნეტავი იცოდეთ, ბედნიერების როგორი საგანძური, ნეტარების როგორი წყარო იმალება თქვენში, იმალება მასში, ამ ნათელ, ნორჩ ალიონში, ცხოვრების ამ ღვთაებრივ ცვარში. მონათესავე სულების ამ პირველ თანაფეღერაში! მე არ გიყვებით მისი სევდის შესახებ. ამ ნაზი და ჩუმი სევდის შესახებ. რომელიც ვერ დაახშო თქვენმა სიმკაცრემ და რომლის გამოც უსიტყვოდ კვდება. დიახ, მარიანა, იგი ამის გამო კვდება. რის თქმა შემიძლია? რის გამოგონება შემიძლია, რათა ამ სიტყვების მოვმატო ის ძალა, რომელიც ესოდენ აკლია? ჩემთვის უცნობია სიყვარულის ენა. ჩაიხედეთ საკუთარ სულში: მასში თქვენ მისი სულის ანარეკლს დაინახავთ. შემიძლია, რომ თქვენზე ვიმოქმედო? თქვენ შეგიძლიათ ლოცვა, მიპასუხეთ, არსებობს ლოცვა, რომელსაც შეუძლია იმის გადმოცემა, რაც ახლა გულში მიდევს?

მ ა რ ი ა ნ ა. ადექით, ოტავიო! ვინმე რომ შემოსულიყო და ასე დაეშაბეთ, იფიერებდა, რომ საკუთარ სიყვარულს აღწერთ!

ო ტ ა ვ ი ო. მარიანა, მარიანა, გთხოვთ, ნუ იცინით! ნუ დაახშობთ საკუთარ თავში ელვებს, რომლებიც, შესაძლებელია, პირველად წარმოიშვა თქვენში. ეს სიკეთის გამოკრთომაა, ეს ძვირფასი ნომენტი მალევე გაქრება. თქვენ ახსენეთ ჩელიოა სახელი, თქვენ იფიქრეთ მის შესახებ, ხომ ასეა? აჰ, თუნდაც ეს მხოლოდ ახირებაა, ნუ გააფუჭებთ მას. მასზე ადამიანის ბედნიერებაა დამოკიდებული.

მ ა რ ი ა ნ ა. დარწმუნებული ხართ, რომ არ უნდა მელიმებოდეს?

ო ტ ა ვ ი ო. დიახ, მართალი ხართ, ვიცი, როგორი ზიანი შეიძლება მოგიტანოთ ჩემთან მეგობრობამ. მე ვიცი, ვინც ვარ, ვგრძნობ: ასეთი სიტყვების მოსმენა ჩემი ბაგეებიდან – დაცინვად გეჩვენებათ. თქვენ ეჭვი შეგაქვთ ჩემი სიტყვების გულნრფელობაში: ვფიქრობ, ამდენად მწარე ჯერ არ ყოფილა ჩემთვის იმ აზრის გათავისება, რომ ჩემი სიტყვები რთული დასაჯერებელია.

მ ა რ ი ა ნ ა. რას ბრძანებთ? როგორც ხედავთ, გისმენთ. მაგრამ ჩელიო მე არ მომწონა და არ მჭირდება. სხეის შესახებ მომიყევით, ვის შესახებაც გსურო. აირჩიეთ თქვენი მეგობრებიდან ღირსეული კავალერი; მომგვარეთ, ოტავიო. ხომ ხედავთ, თქვენ გენდობით.

ო ტ ა ვ ი ო. ო, ქალი! სამჯერ ქალი! ჩელიო თქვენ არ მოგწონთ, მაგრამ პირველი შემხვედრი – მოგეწონებათ. ადამიანი, რომელსაც მთელი თვის განმავლობაში უყვარხართ, ყველგან დაგსდევთ და მხოლოდ ერთი თქვენი სიტყვისთვის სიკვდილისთვისაც კი მზად არის – არ მოგწონთ! ის ახალგაზრდაა, ლამაზი, მდიდარი და იმსახურებს თქვენთან ურთიერთობას; მაგრამ თქვენ არ მოგწონთ, ხოლო პირველი შემხვედრი – მოგეწონებათ!

მ ა რ ი ა ნ ა. გააკეთეთ ის, რაც გითხარით, ამ საერთოდ ნუ მოხვალთ. *(გადის.)*

ო ტ ა ვ ი ო. თვალწარმტაცია თქვენი შარფი, მარიანა, და ბრაზის ეს პატარა ანთება – სამყაროს მომაჯადოებელი საწინდარია. ცოტათი სიამაყეა საჭირო, რათა უკეთ გაგიგო; თუმცა წვეთი მზაკვრობისა ასევე საკმარისია. მაგრამ ეს ჩელიოსთვის იყოს განკუთვნილი და დაე სარგებელი მოუტანოს მას. *(გადის.)*

სცენა მეოთხე

ჩელიოსთან.

ჩ ე ლ ი ო, მ ს ა ხ უ რ ი.

ჩ ე ლ ი ო. ქვეშოთ მელოდება? ახლავე მოვიდეს აქ. მაშინვე რატომ არ შემოიპატიჟეთ?

შემოდის ო ტ ა ვ ი ო.

აბა, მეგობარო, ახალი რა ხდება?

ო ტ ა ვ ი ო. შემოსვლაც კი შარფი მარჯვენა ხელზე, ჩელიო, აიღე გიჭირა და დაშინა. შენ – მარიანას საყვარელი ხარ.

ჩ ე ლ ი ო. გაფიცებ, ნუ დამცინი!

ო ტ ა ვ ი ო. ლამაზი ღამეა; მთვარე ახლაც გამოჩნდება ჰორიზონტზე, მარიანა მარტოა. მისი კარი კი ღიაა.

ჩ ე ლ ი ო. ეს მართალია? მართალია? ახლა ან ცხოცრებაა მშრალი, ოტავიო, ან სიბრალულის გრძნობა არ გაგაჩნია!

ო ტ ა ვ ი ო. ჯერ არ ვააულხარ? გეუბნები, ყველაფერი დათქმულია. იმღერე მის ფანჯრებთან; ბრიდჟარე ეს მოსასხმამი, რათა მისი მეუღლის მცველებმა ვერ გიცნონ. იყავი უშიშარი, რათა სხვები დააშინო, და თუ წინააღმდეგობას გაგიწევს, დაუმტკიცე, რომ უკვე გვიანია აწაზე ფიქრი.

ჩ ე ლ ი ო. ო, ღმერთო! ძალები მერთმევა.

ო ტ ა ვ ი ო. მეც ააევე; კარგად არ მისადილია. ჩემ მიერ გაწყვეტილი შრომისთვის დასაჯილოდებლად წაასვლის წინ უბრძანე მსახურებს, რომ მასადილონ. *(ჭდება.)* თურქული თუთუნი ხომ არ გაქვს? აქ, სავარაუდოდ, ხვალაც დაგხვდები. აბა, მეგობარო, გზა შენია! მე კი დაბრუნებისთანავე გადამეხვევი. გზას გაუდექი! ღამე ახლოვდება.

ჩელიო გადია.

ნეტავი ეს ღამე, ხმინდაო ღმერთო, ჩამეთვალოს შენს სამოთხეში. და კიმაროლეა, რომ სამოთხე გაქვს? ვფიცავ, ეს ქალი მშვენიერია იყო, ეს ბრაზი კი ძალზედ ამშვენებდა. რამ გაანთიწია მისი აგზნება? არ ვიცი. გახა აქვს მნიშვნელობა, თუ როგორ ეცემა ჩვენს მიერ აღნიშნულ ნიშნულ რულეტის ძვლის ბურთულა? მეგობრისთვის შეყვარებულის წართმევა – ეს ზედმეტად ბინძური საქციელია ჩემთვის! მარიანა იქნება ეს თუ სხვა ქალი – განა ამას აქვს ჩემთვის მნიშვნელობა? ახლა ჩემთვის მთავარია, რომ ეისადილო, ხოლო ჩელიო, რა თქმა უნდა, უზომოდ წავიდა. როგორ შეგძულდებოდი, მარიანა, მე რომ შემყვარებოდი! როგორ ბინძიხურავდი კარებს! როგორ ადონისად, როგორ სილვახაე ბოგეჩვეხებოდა შენი ქმარი ჩემთან შედარებით! ნეტავი რასა ბრალია ეს? რატომ მიემართება კვამლი ყალიონისგან მარჯვნივ და არა მარცხნივ? განა იგივე მიზეზები არ აქვს ამასაც? შეშლილია, სამწუხარო შეშლილია ის, ვინც საკუთარ ნაბიჯებს წინასწარ თვლის, ვინც გონებას უგდებს ყურს! ღვთაებრივ მართლმსაჯულებას იელში სასწორი უჭირავს. სასწორი – უდავოდ ბუსტია, მაგრამ სანთელი – შიგნით ცარიელია! ერთერთ მაჯაგანში – მონეტაა, მეორეში – ბეჭედი, მესამეში – შაკიკი, მეოთხეში – სათლი ან ავდარი, და ადამიანის ყოველი ქმედება იწვეს ან ეკვეშა ამ საბონებს ახირებების მიხედვით.

მ ს ა ხ უ რ ი *(შემოდის).* სენიორ, თქვენთან წერილია: იმდენად სასწრაფო, რომ თქვენმა ნსახურებმა აქვე მოიტანეს; მიბრძანეა, რომ თქვენთვის გადმომეცა ნებისმიერ შემთხვევაში.

ო ტ ა ვ ი ო. აბა ვნახოთ. *(კითხულობს.)* „არ მოხვიდეთ დღეს. ქმარმა სახლი გვყიდეთ შემოფარგლა და თუ მოხვალთ, თავისუფლად შოგვლავენ. მარიანა". ო, რა ჰავიდნე, მე – უბადრუკმა! სადაა ჩემი მოსასხამი? სადაა ქუდი? ღმერთო, ნეტავი მივუსწრო! განმყვითო, თქვენ, ვინც აქ ხართ თქვენი მბრძანებელია ცხოვრება საფრთხის ქვეშაა. *(გარბის.)*

სცენა მეხუთე

კოპუდიოს ბაღი. ღამე.

კ ლ ა უ დ ი ო, ო რ ი მ ა მ ა კ ა ც ი, ტ ი ბ ი ა.

კ ლ ა უ დ ი ო. შეპოუშვით და თავს დაესხით მაშინვე, როგორც კი ამ ხეებს მოუახლოვდება.

ტ ი ბ ი ა. თუ მეორე მხრიდან მოვა?

კ ლ ა უ დ ი ო. მაშინ კედელთან დაელოდეთ, კუთხეში.

ე რ თ-ე რ თ ი: მ ა მ ა კ ა ც ი. გასაგებია, სენიორ.

ტ ი ბ ი ა. აი, ისიც მოდის. შეხედეთ. სენიორ, რა დიდი ჩრდილია! მალალი ადამიანია.

კ ლ ა უ დ ი ო. განზე გავდგეთ და, როცა დრო მოვა, თაეს დავესხათ.

შედის ჩ ე ლ ი ო.

ჩ ე ლ ი ო *(აკაკუნებს ფანჯარაზე.)* მარიანა! მარიანა! აქ ხართ?

მ ა რ ი ა ნ ა *(ჩნდება ფანჯარასთან).* გამიქცით, ოტავიო! ნერილი არ გინახავთ?

ჩ ე ლ ი ო. ღმერთო ჩემო, ვისი სახელი შეაცხეს!

მ ა რ ი ა ნ ა. საშლი მკელელებითაა გარშემორტყმული. ქმარმა დაინახა, ჩემთან რომ შემოხვედით; გაიგო ჩვენი საუბარი; ერთი ნაძიახაც ოღ გაჩერდებით აქ, თქვენი სიკვდილი – გარდაუვალია.

ჩ ე ლ ი ო. განა ეს სიზმარი არ არის? განა მე ჩელიო არა ვარ?

მ ა რ ი ა ნ ა. ოტავიო, ოტავიო! ზეცას გაფიცებთ, დაუყოვნებლივ დატოვეთ ბაღი! იქნებ ჯერ გვიანი არაა და დააღწიეთ როგორმე თავი!

ხვალ შუადღით ეკლესიაში მობრძანდით, სააღმსარებლოსთან დაგხვდებით.

ფანჯარა იხურება.

ჩ ე ლ ი ო. ო სიკვდილო! შენ აქ ხარ, მაშ დამეხმარე. ოტავიო, მოღალატე ოტავიო! ღაე დაღვრილი სისხლი შენ დაგეკისროს! კარგად იცოდი თუ რა მელოდებოდა აქ და საკუთარი თავის მაგივრად განომგზავნე – დაე, ასრულდეს შენი ნადილი. ო, სიკვდილო! ხელგაშლილი გელოდები! ბოლო ნოელოს ჩემს ტანჯვას.

ისმის დახშობილი ყვირილი და შორეული ხმაური.

ო ტ ა ვ ი ო *(ეუჩიდან)*. გაალეთ, თორემ კარებს შევამტვრევ!

კ ლ ა უ დ ი ო *(აღებს, ხელში ღაშნა უჭირავს)*. რა გნებავთ?

ო ტ ა ვ ი ო. ჩელიო სადაა?

კ ლ ა უ დ ი ო. არ მგონია, რომ ამ სახლში დროის გატარება მის ჩვევებში შედიოდეა.

ო ტ ა ვ ი ო. თუ მოკალი, კლაუდიო, მიფრთხილდი; აი, ამ ხელებით გაგანადგურებ!

კ ლ ა უ დ ი ო. თქვენ შეშლილი ხართ თუ მთვარეული?

ო ტ ა ვ ი ო. თავად არა ხარ შეშლილი ან მთვარეული, რადგან ღამით ეზოში დაშნით ხელში დასეირნობ?

კ ლ ა უ დ ი ო. თუ გნებავთ, ბაღში მოძებნეთ, მე არავინ შემხვედრია: და რომც ჰქონოდა ვინმეს აქ მოსელის სურვილი, მგონი, მაქვს უფლება, რომ არ გავუღო კარი.

ო ტ ა ვ ი ო *(თავის მსახურებს)*. აქეთ, გადაჩხრიკეთ ბაღი.

კ ლ ა უ დ ი ო *(ჩუმად მიმართავს ტიბიას)*. ყველაფერი ისე გააკეთეთ, როგორც გიბრძანეთ?

ტ ი ბ ი ა. დიახ, სენიორ, დამშვიდდით. რამდენიც გაუხარდებათ, იმდენი ეძებონ.

გადიან.

სცენა შეექვსე

სასაფლაო.

ო ტ ა ვ ი ო და მ ა რ ი ა ნ ა საფლავთან.

ო ტ ა ვ ი ო. მხოლოდ მე ვიცნობდი მას. ეს თეთრი ურნა საკუთარი საფარველის სამგლოვიარო კვამლის ქვეშ წარადგენს ჩელიოს ნამდვილ სახეს. ჩუმი სევდა ასევე ფარავდა ამ მოკრძალებული და სათუთი სულის სრულყოფილებას. და ეს ჩუმი ცხოვრება მხოლოდ ჩემთვის არ იყო გამოცანა. ჩვენი ხანგრძლივი ბაასები საღამოობით – გრილი ოაზისია უდაბნოს პაპანაქებაში; მხოლოდ ის აგრილებდა ჩემს გულს ცვარით. ჩელიო ჩემი აულის საუკეთესო ნანილი იყო, მასთან ერთად გაეშურა ის ზეცისკენ. ეს ადამიანი სხვა სამყაროს ეკუთვნოდა; მან იცოდა ტკბობა და მარტოობა ამჯობინა; მან იცოდა, როგორი მატყუარაა ოცნებები, მაგრამ მაინც ოცნება ამჯობინა სინამდვილეს. რამდენად ბედხიერი იქნებოდა ქალი, რომელიც შეიყვარებდა მას!

მ ა რ ი ა ნ ა. და ის ქალი არ იქნებოდა ბედნიერი, ვისაც თქვენ შეუყვარდებოდით, ოტავიო?

ო ტ ა ვ ი ო. მე არ შემიძლია სიყვარული; მხოლოდ ჩელიოს შეეძლო. გვანი, რომელიც ამ კუბოში ასეენია, არის ყველაფერი, რაც კი ამქვეყნად მიყვარდა, ყველაფერი. რაც მუდამ მეყვარება. მხოლოდ ჩელიოს შეეძლო სხვათა სულებში იმ ბედხიერების ნემატება, რომელიც თავად მას გააჩნდა. მხოლოდ მას შეეძლო ყოფილიყო უაბლვროდ ერთგული; მხოლოდ მას შეეძლო, მიეძღვნა ცხოვრება ერთადერთი ქალისთვის და ამავე ქალისთვის თავი გაეწირა. მე კი უბრალოდ უსულგულო და გარყვნილი ვარ, ქალებს კი პატივს არ ეცემ; სიყვარული, რომელსაც ისინი ჩემ მიმართ გრძნობენ, ჩემსავე გრძნობებს ჰგავს, – წამიერი ზმანებით თრობაა. ჩემთვის უცნობია საიდუმლოებანი, რომელთაც ის ინახავდა. ჩემი მხიარულება – ნაკაკეს ოინბაზის ნიღაბს, მაგრამ ისიც კი არ არის ისე გაცრეცილი, როგორც ჩემი გული; ჩემს მიყრუებულ გრძნობებს მისი ჩამოცილება სწადია. მე უბრალო უსუსური ვარ;

მისი სიკვდილისთვის შურიც არ მიძიებია.

მ ა რ ი ა ნ ა. მაგრამ ეს შესაძლებელი მხოლოდ თევენი სიცოცხლის ფასად თუ იქნებოდა! კლაუდიო ძალზედ მოიუცია, რათა გამოწვევა მიიღოს, და ძალზედ ძლევამოსილია, თევენი რომ ეშინოდეს.

ო ტ ა ვ ი ო. ჩელიო შურს იძიებდა ჩემი სიკვდილის გამო, თუ მე მის გამო მოვკვდებოდი ისევე, როგორც ის მოკვდა ჩემ გამო. ეს საფლავი – ჩემია; მე ენევარ ამ გაყინული ქვის ქვეშ; დაშნას ისინი იმისთვის ლესავდნენ, რათა მე მოვეკალით, და მომკლეს კიდევაც. მაპატიე, ჩემი ახალგაზრდობის ხალისო, შეშლილო უზრუნველობავ, ვეზუვის კალთაში გატარებულო თავისუფალო და ბედნიერო ცხოვრებავ! მაპატიეთ, ხმაურიანო ნადიმებო, საღამოს საუბრებო, მოოქროვილი აივნების ქვეშ შესრულებულო სერენადებო! მაპატიე, ნეაპოლო, მაპატიეთ, ნეაპოლიტანელო ცოლებო, ჩირაღდნების ქვეშ გაჩაღებულო მასკარადებო, ტყეთა ჩრდილქვეშ გატარებულო ხანგრძლივო ვახშმებო და მეგობრობავ! არ არის ჩემი ადგილი დედამიწაზე.

მ ა რ ი ა ნ ა. მაგრამ ჩემს გულში არის, ოტავიო! რად ამბობ ამას: მაპატიე, სიყვარულო!

ო ტ ა ვ ი ო. მე თქვენ, მარიანა, არ მიყვარხართ; ჩელიოს უყვარდით!

ფრანგულიდან თარგმნა დიანა მიქელაძემ